

სამუშაო შეხვედრა ქ. ტრიესტში, იტალია

2007 წლის 24 იანვარს მნიშვნელოვანი ხასიათის შეხვედრა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოთა ასოციაციასა (აღდა) და სააგენტოთა შორის გაიმართა ქ. ტრიესტში, იტალია. შეხვედრა ატარებდა საიფორმაციო ხასიათს და წარმატებული საქმიანობების და მიღწევათა გაცვლას ემსახურებოდა.

ქ-ნმა ანტონელა ვალმორბიდამ, აღდას აღმასრულებელმა დირექტორმა მოკლე მიმოხილვა და პრეზენტაცია გააკეთა მიმდინარე საქმიანობების შესახებ. კერძოდ, აღნიშნა ახალი პროექტები, რომლებიც მიკრო-სესხებსა და ეკონომიკურ განვითარებას შეეხება, აგრეთვე მიმოიხილა პროექტები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ საქართველოსა და ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკაში. აღდა აგრძელებს მუშაობას ევროპული მოქალაქეობის პროექტზე "EURaction – Citizens acting for Europe".

აღდა აგრეთვე აპირებს ორგანიზება გაუკეთოს თემატური მიმართულების სამუშაო ჯგუფების შექმნას სააგენტოს წევრი ორგანიზაციებისთვის, რათა მათ შექმნონ ევროპულ ინტეგრაციაზე ადამიანთა უფლებებზე და სხვა საკითხებზე დებატების გამართვა.